ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 3/173

ქ. თბილისი 25 ივლისი, 2013 წელი

შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10$^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 ივნისის №1244 განკარგულების შესაბამისად

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მერაბ ბოჭოიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის გიორგი კუპრაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" ბიუჯეტის სახსრებით პროგრამის - „გორის მუნიციპალიტეტი, ატენის სიონის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები" (კოდი 01 02 01) ფარგლებში, იკრომის მიერ აღიარებული საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, ატენის სიონის კედლების სტრუქტურული გამაგრების და ქვის კონსერვაციის სამუშაოების შესყიდვა (CPV კოდი 45454100) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია ატენის სიონის კედლების სტრუქტურული გამაგრების და ქვის კონსერვაციის სამუშაოები, რომელიც განისაზღვრება ტექნიკური დავალების და სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (იხ. დანართი).

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **99 997,76** (ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და 76 თეთრი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი სამუშაოს შესრულებას უზრუნველყოფს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 ნოემბრის ჩათვლით გეგმა გრაფიკის შესაბამისად (იხ. დანართი).

4.2 სამუშაოს შესრულების ადგილია - გორის მუნიციპალიტეტი, ატენის სიონის ტაძარი.

## 5. შესყიდვის ობიქტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს თანამშრომლები: მანანა სურამელაშვილი, ნიკოლოზ ზაზუნიშვილი, ნინო კორძახია, გიგლა ჭანუყვაძე, ქრისტინე დარჩია, ნინო ნოზაძე, მანანა ვარძელაშვილი.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" 2013 წლის ბიუჯეტის სახსრებით.

6.2 შესრულებული სამუშაოს ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხაზე ნაკლები, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეულის ფასების შესაბამისად.

6.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა.

6.4 წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო საბანკო გარანტია არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 30%), რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას. საავანსო თანხის გადახდა მოხდება შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის დღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.5 სამუშაოების დასრულების შემდეგ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (დეფექტი ნაკლოვანებები) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს

წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი**

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა № 200122900
ს/კოდი: 204562311

**გენერალური დირექტორი**

მერაბ ბოჭოიძე

**მიმწოდებელი**

შპს „ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი“
მის: ქ. თბილისი, კოსტავას 44
ს.ს. „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა # GE02TB7858636080100002
ს/კოდი: 404417975

**ხელმძღვანელი**

გიორგი კუპრაშვილი

ატენის სიონის კედლების სტრუქტურული გამაგრების და ქვის კონსერვაციის სამუშაოები

## ტექნიკური დავალება

- მოსამზადებელი სამუშაოები: ხარაჩოს მოწყობა (ხის არაინვენტალური ხარაჩოების მოწყობა ტაძრის დასავლეთ კედელზე, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე არსებული ხარაჩოს სრულყოფა და ფენილების დამატება);
- ფასადის და ინტერიერის, ქვებისა და კედლის სტრუქტურის გამაგრება, კერძოდ:

✓ ქვასა და დუღაბს შორის არსებული ცარიელი ადგილების გასუფთავება ჰაერის ჭავლით

✓ ცემენტით ამოლესილი ადგილების გაწმენდა

✓ საპირე წყობის ქვებს შორის არსებული ნაკერების და ბზარების ამოვსება

✓ ინექტირების დროს კედლის მხატვრობის რესტავრატორის ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში ინტერვენცია

✓ ჩამოტეხილი ქვების ამოვსება და მომზადება ინექტირებისთვის (თიხა, კირი)

✓ ჩამოტეხილი ქვების რესტავრაცია

✓ ინექტირება (დუღაბსა და ქვებს შორის არსებული სიცარიელის შევსება ჰიდრავლიკური კირითა და პოცოლონათი)

- ფასადის შეწამლვა ბიოციდით (ორჯერ)
- შეწამვლის შემდგომ არსებული ნადების გაწმენდა

**შპს „ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი“-ს**

**ხელმძღვანელი**

გიორგი კუპრაშვილი

იკრომის მიერ აღიარებული საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით ატენის სიონის კედლის სტრუქტურული გამაგრებისა და და ქვის კონსერვაციის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოების ჩამონათვალი | განზომ. | რაოდენ. | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი და მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | Materials | | Salary | | Transport end gears | | |
| | Works | Dimen. | Amoun | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | Total |
| | | | | Unit price | Total | Unit price | Total | Unit price | Total | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 1 | ხარაჩოს მოწყობა | | | | | | | | | |
| 1,1 | ხის არაინვენტალური ხარაჩოების მოწყობა ტაძრის დასავლეთ კედელზე, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე არსებული ხარაჩოს სრულყოფა და ფენილების დამატება | მ2 | 300,0 | 0,00 | 0,00 | 2,95 | 885,00 | 0,00 | 0,00 | 885,00 |
| 1,2 | ლურსმანი | კგ | 15,0 | 2,50 | 37,50 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 37,50 |
| 2 | ფასადის და ინტერიერის, ქვებისა და კედლის სტრუქტურის გამაგრება | | | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| 2,1 | ქვასა და დუღაბს შორის არსებული ცარიელი ადგილების გასუფთავება ჰაერის ჭავლით | მ2 | 780,0 | 0,00 | 0,00 | 2,56 | 1 996,80 | 0,00 | 0,00 | 1 996,80 |
| 2,2 | ცემენტით ამოლესილი ადგილების გაწმენდა | მ2 | 4,0 | 0,00 | 0,00 | 20,58 | 82,32 | 0,00 | 0,00 | 82,32 |
| 2,3 | საპირე წყობის ქვებს შორის არსებული ნაკერების და ბზარების ამოვსება | მ | 1 400,0 | 0,00 | 0,00 | 14,15 | 19 810,00 | 0,00 | 0,00 | 19 810,00 |
| 2,4 | ჩამქრალი კირი, ქვიშა, „პოცოლონა" თიხა | კგ | 509,1 | 1,89 | 962,20 | 0,00 | 0,00 | 0,16 | 81,46 | 1 043,66 |
| 2,5 | ინექტირების დროს კედლის მხატვრობის რესტავრატორის ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში ინტერვენცია | მ2 | 780,0 | 0,00 | 0,00 | 5,70 | 4 446,00 | 0,00 | 0,00 | 4 446,00 |
| 2,6 | ჩამოტეხილი ქვების ამოვსება და მომზადება ინექტირებისთვის (თიხა, კირი) | მ2 | 120,0 | 0,00 | 0,00 | 11,83 | 1 419,60 | 0,00 | 0,00 | 1 419,60 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2,7 | ჩამქრალი კირი, ქვიშა, „პოცოლონა„ თიხა | კგ | 63,1 | 1,89 | 119,26 | 0,00 | 0,00 | 0,32 | 20,19 | 139,45 |
| 2,8 | ჩამოტეხილი ქვების რესტავრაცია | მ2 | 120,0 | 0,00 | 0,00 | 46,28 | 5 553,60 | 0,00 | 0,00 | 5 553,60 |
| 2,9 | ჩამქრალი კირი, ქვიშა, „პოცოლონა„ | კგ | 58,2 | 1,89 | 110,00 | 0,00 | 0,00 | 0,32 | 18,62 | 128,62 |
| 2,10 | ინექტირება (დუღაბსა და ქვებს შორის არსებული სიცარიელის შევსება ჰიდრავლიკური კირითა და პოცოლონათი) | მ2 | 780,0 | 0,00 | 0,00 | 14,30 | 11 154,00 | 0,00 | 0,00 | 11 154,00 |
| 2,11 | ჰიდრავლიკური კირი , პოცოლონა | კგ | 3 870,0 | 1,89 | 7 314,30 | 0,00 | 0,00 | 0,32 | 1 238,40 | 8 552,70 |
| 3 | **ფასადის შეწამლვა ბიოციდით (ორჯერ)** | მ2 | 2 400,0 | 0,00 | 0,00 | 0,98 | 2 352,00 | 0,00 | 0,00 | 2 352,00 |
| 3,1 | შეწამვლის შემდგომ არსებული ნადების გაწმენდა | მ2 | 2 400,0 | 0,00 | 0,00 | 3,87 | 9 288,00 | 0,00 | 0,00 | 9 288,00 |
| | სულ: | | | | **8 543,26** | | **56 987,32** | | **1 358,67** | **66 889,25** |
| | **ზედნადები ხარჯები** | | **10%** | | | | | | | **6 688,92** |
| | სულ: | | | | | | | | | **73 578,17** |
| | გეგმიური დაგროვება | | **8%** | | | | | | | **5 886,25** |
| | სულ: | | | | | | | | | **79 464,43** |
| | უცხოელი სპეციალისტების- პროექტის ავტორები ( იკრომისა და გეტტსის ექსპერტები) ვიზიტი - **ვოლტა** /3000 ევროს ექვივალენტი ლარში/ | | | | | | | | | 7333,33 |
| | უცხოელი სპეციალისტების- პროექტის ავტორები ( იკრომისა და გეტტსის ექსპერტები) ვიზიტი - **ფრანჩესკა პიკე** /6000 ევროს ექვივალენტი ლარში/ | | | | | | | | | 13200,00 |
| | ჯამი | | | | | | | | | 99 997,76 |

შპს „ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი"-ს ხელმძღვანელი

გიორგი კუპრაშვილი

იკრომის მიერ აღიარებული საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით ატენის სიონის კედლის სტრუქტურული გამაგრებისა და და ქვის კონსერვაციის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

I ეტაპი (25.07.2013წ -09.09.2013წ)

| № | სამუშაოების ჩამონათვალი | განზომ. | რაოდენ. | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი და მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | Materials | | Salary | | Transport end gears | | |
| | Works | Dimen. | Amoun | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | Total |
| | | | | Unit price | Total | Unit price | Total | Unit price | Total | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 1 | ხარაჩოს მოწყობა | | | | | | | | | |
| 1.1 | ხის არაინვენტალური ხარაჩოების მოწყობა ტაძრის დასავლეთ კედელზე, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე არსებული ხარაჩოს სრულყოფა და ფენილების დამატება | მ2 | 300,0 | 0,00 | 0,00 | 2,95 | 885,00 | 0,00 | 0,00 | 885,00 |
| 1.2 | ლურსმანი | კგ | 15,0 | 2,50 | 37,50 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 37,50 |
| 2 | ფასადის და ინტერიერის, ქვებისა და კედლის სტრუქტურის გამაგრება | | | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| 2.1 | ქვასა და დუღაბს შორის არსებული ცარიელი ადგილების გასუფთავება ჰაერის ჭავლით | მ2 | 780,0 | 0,00 | 0,00 | 2,56 | 1 996,80 | 0,00 | 0,00 | 1 996,80 |
| 2.2 | ცემენტით ამოლესილი ადგილების გაწმენდა | მ2 | 4,0 | 0,00 | 0,00 | 20,58 | 82,32 | 0,00 | 0,00 | 82,32 |
| 2.3 | საპირე წყობის ქვებს შორის არსებული ნაკერების და ბზარების ამოვსება | მ | 840,0 | 0,00 | 0,00 | 14,15 | 11 886,00 | 0,00 | 0,00 | 11 886,00 |
| 2.4 | ჩამქრალი კირი, ქვიშა, „პოცოლონა„ თიხა | კგ | 305,5 | 1,89 | 577,32 | 0,00 | 0,00 | 0,16 | 48,87 | 626,19 |
| 3 | ფასადის შეწამლვა ბიოციდით (ორჯერ) | მ2 | 1 200,0 | 0,00 | 0,00 | 0,98 | 1 176,00 | 0,00 | 0,00 | 1 176,00 |
| 3.1 | შეწამვლის შემდგომ არსებული ნადების გაწმენდა | მ2 | 1 200,0 | 0,00 | 0,00 | 3,87 | 4 644,00 | 0,00 | 0,00 | 4 644,00 |
| | სულ: | | | | **614,82** | | **20 670,12** | | **48,87** | **21 333,81** |
| | ზედნადები ხარჯები | | **10%** | | | | | | | **2 133,38** |
| | სულ: | | | | | | | | | **23 467,19** |
| | გეგმიური დაგროვება | | **8%** | | | | | | | **1 877,38** |
| | ჯამი | | | | | | | | | 25 344,57 |

შპს „ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი"-ს ხელმძღვანელი

გიორგი კუპრაშვილი

იკრომის მიერ აღიარებული საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით ატენის სიონის კედლის სტრუქტურული გამაგრებისა და და ქვის კონსერვაციის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

II ეტაპი (10.09.2013წ -10.11.2013წ)

| № | სამუშაოების ჩამონათვალი | განზომ. | რაოდენ. | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი და მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | **Materials** | | **Salary** | | **Transport end gears** | | |
| | **Works** | **Dimen.** | **Amoun** | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | **Total** |
| | | | | **Unit price** | **Total** | **Unit price** | **Total** | **Unit price** | **Total** | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 1 | **ფასადის და ინტერიერის, ქვებისა და კედლის სტრუქტურის გამაგრება** | | | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| 1.1 | საპირე წყობის ქვებს შორის არსებული ნაკერების და ბზარების ამოვსება | მ | 560,0 | 0,00 | 0,00 | 14,15 | 7 924,00 | 0,00 | 0,00 | 7 924,00 |
| 1.2 | ჩამქრალი კირი, ქვიშა, „პოცოლონა" თიხა | კგ | 203,6 | 1,89 | 384,88 | 0,00 | 0,00 | 0,16 | 32,58 | 417,46 |
| 1.3 | ინექტირების დროს კედლის მხატვრობის რესტავრატორის ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში ინტერვენცია | მ2 | 780,0 | 0,00 | 0,00 | 5,70 | 4 446,00 | 0,00 | 0,00 | 4 446,00 |
| 1.4 | ჩამოტეხილი ქვების ამოვსება და მომზადება ინექტირებისთვის (თიხა, კირი) | მ2 | 120,0 | 0,00 | 0,00 | 11,83 | 1 419,60 | 0,00 | 0,00 | 1 419,60 |
| 1.5 | ჩამქრალი კირი, ქვიშა, „პოცოლონა" თიხა | კგ | 63,1 | 1,89 | 119,26 | 0,00 | 0,00 | 0,32 | 20,19 | 139,45 |
| 1.6 | ჩამოტეხილი ქვების რესტავრაცია | მ2 | 120,0 | 0,00 | 0,00 | 46,28 | 5 553,60 | 0,00 | 0,00 | 5 553,60 |
| 1.7 | ჩამქრალი კირი, ქვიშა, „პოცოლონა" | კგ | 58,2 | 1,89 | 110,00 | 0,00 | 0,00 | 0,32 | 18,62 | 128,62 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.8 | ინექტირება (დუღაბსა და ქვებს შორის არსებული სიცარიელის შევსება ჰიდრავლიკური კირითა და პოცოლონათი) | მ2 | 780,0 | 0,00 | 0,00 | 14,30 | 11 154,00 | 0,00 | 0,00 | 11 154,00 |
| 1.9 | ჰიდრავლიკური კირი , პოცოლონა | კგ | 3 870,0 | 1,89 | 7 314,30 | 0,00 | 0,00 | 0,32 | 1 238,40 | 8 552,70 |
| 2 | **ფასადის შეწამლვა ბიოციდით (ორჯერ)** | მ2 | 1 200,0 | 0,00 | 0,00 | 0,98 | 1 176,00 | 0,00 | 0,00 | 1 176,00 |
| 2.1 | შეწამვლის შემდგომ არსებული ნადების გაწმენდა | მ2 | 1 200,0 | 0,00 | 0,00 | 3,87 | 4 644,00 | 0,00 | 0,00 | 4 644,00 |
| | სულ: | | | | **7 928,44** | | **36 317,20** | | **1 309,80** | **45 555,44** |
| | ზედნადები ხარჯები | | **10%** | | | | | | | **4 555,54** |
| | სულ: | | | | | | | | | **50 110,98** |
| | გეგმიური დაგროვება | | **8%** | | | | | | | **4 008,88** |
| | სულ: | | | | | | | | | **54 119,86** |
| | უცხოელი სპეციალისტების- პროექტის ავტორები (იკრომისა და გეტტსის ექსპერტები) ვიზიტი - **ვოლტა /3000 ევროს ექვივალენტი ლარში/** | | | | | | | | | 7333,33 |
| | უცხოელი სპეციალისტების- პროექტის ავტორები (იკრომისა და გეტტსის ექსპერტები) ვიზიტი - **ფრანჩესკა პიკე /6000 ევროს ექვივალენტი ლარში/** | | | | | | | | | 13200,00 |
| | ჯამი | | | | | | | | | 74 653,19 |

შპს „ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი"-ს ხელმძღვანელი

გიორგი კუპრაშვილი

იკრომის მიერ აღიარებული საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით ატენის სიონის კედლის სტრუქტურული გამაგრებისა და და ქვის კონსერვაციის სამუშაოების გეგმა-გრაფიკი

| ეტაპები | I ეტაპი (25.07.2013წ -09.09.2013წ) | | | | | II ეტაპი (10.09.2013წ -10.11.2013წ) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თვეები | | აგვისტო | | | სექტემბერი | | ოქტომბერი | | | ნოემბერი |
| დღეები | 5 | 10 | 10 | 11 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 11 | 10 |
| **ხარაჩოს მოწყობა** | | | | | | | | | | | |
| ხის არაინვენტალური ხარაჩოების მოწყობა ტაძრის დასავლეთ კედელზე, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე არსებული ხარაჩოს სრულყოფა და ფენილების დამატება | | | | | | | | | | | |
| **ფასადის და ინტერიერის, ქვებისა და კედლის სტრუქტურის გამაგრება** | | | | | | | | | | | |
| ქვასა და დუღაბს შორის არსებული ცარიელი ადგილების გასუფთავება ჰაერის ჭავლით | | | | | | | | | | | |
| ცემენტით ამოლესილი ადგილების გაწმენდა | | | | | | | | | | | |
| საპირე წყობის ქვებს შორის არსებული ნაკერების და ბზარების ამოვსება | | | | | | | | | | | |
| ინექტირების დროს კედლის მხატვრობის რესტავრატორის ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში ინტერვენცია | | | | | | | | | | | |
| ჩამოტეხილი ქვების ამოვსება და მომზადება ინექტირებისთვის (თიხა, კირი) | | | | | | | | | | | |
| ჩამოტეხილი ქვების რესტავრაცია | | | | | | | | | | | |
| ინექტირება (დუღაბსა და ქვებს შორის არსებული სიცარიელის შევსება ჰიდრავლიკური კირითა და პოცოლონათი) | | | | | | | | | | | |
| **ფასადის შეწამლვა ბიოციდით (ორჯერ)** | | | | | | | | | | | |
| შეწამვლის შემდგომ არსებული ნადების გაწმენდა | | | | | | | | | | | |
| უცხოელი სპეციალისტების- პროექტის ავტორები ( იკრომისა და გეტტსის ექსპერტები) ვიზიტი | | | | | | | | | | | |

შპს „ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი"-ს ხელმძღვანელი

გიორგი კუპრაშვილი

იკრომის მიერ აღიარებული საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით ატენის სიონის  კედლის სტრუქტურული გამაგრებისა და და ქვის კონსერვაციის  სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

| | ეტაპები | I ეტაპი (15.07.2013წ -31.07.2013წ) | | | | | II ეტაპი (01.09.2013წ -31.10.2013წ) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თვეები | ივლისი | | აგვისტო | | | სექტემბერი | | | ოქტომბერი | | |
| | დღეები | 5 | 11 | 10 | 10 | 11 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 11 |
| | **ხარაჩოს მოწყობა** | | | | | | | | | | | |
| | ხის არაინვენტალური ხარაჩოების მოწყობა ტაძრის დასავლეთ კედელზე, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე არსებული ხარაჩოს სრულყოფა და  ფენილების დამატება | | | | | | | | | | | |
| | **ფასადის და ინტერიერის, ქვებისა და კედლის სტრუქტურის გამაგრება** | | | | | | | | | | | |
| | ქვასა და დუღაბს შორის არსებული ცარიელი ადგილების გასუფთავება ჰაერის ჭავლით | | | | | | | | | | | |
| | ცემენტით ამოლესილი ადგილების გაწმენდა | | | | | | | | | | | |
| | საპირე წყობის ქვებს შორის არსებული ნაკერების და ბზარების ამოვსება | | | | | | | | | | | |
| | ინექტირების დროს კედლის მხატვრობის რესტავრატორის ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში ინტერვენცია | | | | | | | | | | | |
| | ჩამოტეხილი ქვების ამოვსება და მომზადება ინექტირებისთვის (თიხა, კირი) | | | | | | | | | | | |
| | ჩამოტეხილი ქვების რესტავრაცია | | | | | | | | | | | |
| | ინექტირება (დუღაბსა და ქვებს შორის არსებული სიცარიელის შევსება ჰიდრავლიკური კირითა და პოცოლონათი) | | | | | | | | | | | |
| | **ფასადის შეწამლვა ბიოციდით (ორჯერ)** | | | | | | | | | | | |
| | შეწამვლის შემდგომ არსებული ნადების გაწმენდა | | | | | | | | | | | |
| | უცხოელი სპეციალისტების- პროექტის ავტორები  ( იკრომისა და გეტტსის ექსპერტები)  ვიზიტი | | | | | | | | | | | |

შპს „ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი"-ს ხელმძღვანელი

გიორგი კუპრაშვილი